




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 26

2013 წლის 8 თებერვალი
ქალაქი ხაშური

„ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #241 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების უფასო მომსახურების მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვრის #15 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პროგრამით მოცული კონტიგენტი

ა) პროგრამა ვრცელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სახელოვნებო სკოლების მოსწავლეებსა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელებზე, რომლების არიან:

ა.ა) დევნილის/იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონენი;

ა.ბ) ოჯახებიდან, რომელთა რეიტინგი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 ქულას არ აღემატება.

ბ) პროგრამის სავარაუდო კონტიგენტია 2013 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით - 155 მოსწავლე და 490 აღსაზრდელი, სულ 645 ბავშვი.

გ) განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პროგრამის დაფინანსების წყარო და სავარაუდო მოცულობა

ა) პროგრამა ფინანსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ბ) პროგრამის სავარაუდო მოცულობა შეადგენს 6760 ლარს.

2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას ქ.#15).

6. პროგრამა ვრცელდება 2012 წლის 1 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ დავით ლომიძე



დანართი #1

ხაშურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში რიცხული შეღავათით მოსარგებლე დევნილი და სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისა და აღსაზრდელების მიახლოებითი რაოდენობის შესახებ

2013 წლის თებერვალი

დაწესებულების დასახელება	სოციალურად დაუცველი	დევნილი	სულ	მომსახურების ღირებულება თვეში
№1 საბავშვო ბაღი	65	5	70	700
№3 საბავშვო ბაღი	25	5	30	300
№4 საბავშვო ბაღი	36	15	51	510
№5 საბავშვო ბაღი	55	5	60	600
№6 საბავშვო ბაღი	40	10	50	500
№ 7 საბავშვო ბაღი	53	5	58	580
№8 საბავშვო ბაღი	25	3	28	280
№9 საბავშვო ბაღი	60	15	75	750
№10 საბავშვო ბაღი	19	-	19	190
№11 საბავშვო ბაღი	10	-	10	100
№12 საბავშვო ბაღი	25	-	25	250
№13 საბავშვო ბაღი	12	2	14	140
სულ	425	65	490	4900

ქვიშხეთის სახელოვნებო სკოლა	30	-	30	360
ხაშურის სახელოვნებო სკოლა	69	6	75	900
სურამის სახელოვნებო სკოლა	50	-	50	600
სულ	149	6	155	1860

სულ თვეში	574	71	645	6760
სულ წელიწადში				81 120